საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ბრძანება № 80

ქ. თბილისი

28 06 2019

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერების წესის დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს N74/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვამდე, არადისტანციური დათვალიერების წესი დამტკიცდეს დანართი N1-ის შესაბამისად;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ, იმ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერების წესი, რომელიც აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, დამტკიცდეს დანართი N2-ის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა მოქმედების ზოგიერთი წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 თებერვლის N17 ბრძანება;
4. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 08 ივლისიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6);

გელა გელაძე
სამსახურის უფროსი

შემსრულებელი:
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს კოორდინატორი
----------/ეკატერინე მარხვაშვილი/

ვიზირება:
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი
----------/სოფიო აბულაშვილი/

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი
----------/ალექსანდრე ცინცაძე/

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი
----------/გიორგი გუნცაძე/

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე
----------/გიორგი კილაძე/

ბრძანება გაეგზავნოს:
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის:
ა) ადმინისტრაციულ სამმართველოს;
ბ) მონიტორინგის სამმართველოს;
გ) დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს.

00903

დანართი N1

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვამდე, არადისტანციური დათვალიერების წესი

1. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვამდე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური (შემდგომ - მანდატური) ახორციელებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მხოლოდ არადისტანციურ დათვალიერებას;
2. სკოლაში განაწილებული მანდატურებიდან ერთი მანდატური საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, არადისტანციურად ათვალიერებს სკოლის გარე პერიმეტრს და დგება სკოლის გარეთ, შესასვლელთან/შესასვლელებთან, ხოლო საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს სკოლის შიდა პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას.
3. სკოლის შიდა პერიმეტრის დათვალიერება ხორციელდება მუდმივად, იმ მანდატურის მიერ, რომელიც არ ისვენებს.
4. ის მანდატური/მანდატურები, რომლებიც არ ახდენს/ახდენენ გარე პერიმეტრის დათვალიერებას, საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ნაწილდებიან და ახდენენ სკოლის შიდა პერიმეტრის დათვალიერებას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას.
5. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ერთხელ, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ. იმ საჯარო სკოლებში, სადაც განაწილებულია ოთხზე მეტი მანდატური, მანდატური/მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს.
6. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ერთხელ, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ. იმ საჯარო სკოლებში, სადაც განაწილებულია სამზე მეტი მანდატური, მანდატური/მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს.
7. მერვე და ყოველი მომდევნო გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, შეისვენონ 30 წუთით. მანდატური/მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს. მანდატურები უფლებამოსილნი არიან, აღნიშნული უფლებით ისარგებლონ დღის განმავლობაში ერთხელ.
8. გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, თითოეული გაკვეთილის დასრულებამდე არაუგვიანეს 10 წუთით ადრე, ერთი მანდატური ათვალიერებს სკოლის გარე პერიმეტრს (ათვალიერებს შენობის ყველა მხარეს, იმ ადგილების ჩათვლით, სადაც სავარაუდოდ

შეიძლება იყოს მოსწავლეების ან უცხო პირების კონცენტრაცია) და შესვენების დაწყებამდე ბრუნდება სკოლის შენობაში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ სკოლის მანდატურებზე, რომელ სკოლაშიც გაკვეთილებს შორის შესვენებებს მოსწავლეები ატარებენ სკოლის ეზოში. ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან თანხმდება შესაბამის კოორდინატორთან კომუნიკაციის იმ ფორმით, რომელიც მიღებულია მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის;

9. მეხუთე და ყველა მომდევნო გაკვეთილის შემდეგ შესვენების დროს, მანდატურ(ებ)ი დგება/დგებიან გარეთ, სკოლის შესასვლელთან/შესასვლელებთან და აკონტროლებს/აკონტროლებენ მოსწავლეების გადინებას და შესვლას სკოლის შენობაში. ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან თანხმდება შესაბამის კოორდინატორთან კომუნიკაციის იმ ფორმით, რომელიც მიღებულია მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის.

10. მანდატურს, ერთი გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, უფლება აქვს ერთ ადგილას შეჩერდეს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) წუთით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

11. საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც ყველა მოსწავლე დატოვებს სკოლის ტერიტორიას, სკოლის ტერიტორიიდან გასვლამდე, მანდატური/მანდატურები ვალდებულნი არიან გადანაწილდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე და უზრუნველყონ არადისტანციური დათვალიერება. შემოწმების დროს დაუშვებელია მანდატურების გადაადგილება ჯგუფურად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

12. აღნიშნული წესისგან განსხვავებულად, შესაბამის კოორდინატორთან წინასწარი შეთანხმებით, შესაძლოა დარეგულირდეს იმ სკოლების არადისტანციური დათვალიერების წესი, რომელიც „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად ახორციელებენ განვითარების შეფერხების, სენსორული და ქცევისა და ემოციური დარღვევების მქონე, ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

დანართი N2

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ, იმ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერების წესი, რომელიც აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით

1. მანდატურის მიერ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ხორციელდება:
ა) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით;
ბ) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება.
2. შიდა პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება ხორციელდება მუდმივად, იმ მანდატურის მიერ, რომელიც არ ისვენებს ან/და არ ახდენს პერიმეტრის დისტანციურ დათვალიერებას.
3. სკოლაში განაწილებული მანდატურებიდან ერთი მანდატური საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 10 წუთით ადრე არადისტანციურად ათვალიერებს სკოლის გარე პერიმეტრს და დგება სკოლის გარეთ, შესასვლელთან/შესასვლელებთან, ხოლო საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს სკოლის შიდა პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას.
4. იმ სკოლებში, სადაც განაწილებულია ორი მანდატური და სათვალთვალო კამერების რაოდენობა იძლევა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის შესაძლებლობას (არანაკლებ სკოლის პერიმეტრის 70 %-ისა და მეტი):
ა) საგაკვეთილო პროცესის დაწყებისთანავე ერთი მანდატური გაკვეთილების მსვლელობის დროს, დისტანციურად ათვალიერებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. გაკვეთილებს შორის შესვენების დროს, კამერებთან მყოფი მანდატური და მეწყვილე მანდატური სკოლის შიდა პერიმეტრს ათვალიერებენ არადისტანციურად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვამდე.
ბ) გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, თითოეული გაკვეთილის დასრულებამდე არაუგვიანეს 10 წუთით ადრე, სკოლის შიდა პერიმეტრზე მყოფი მანდატური იწყებს სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერებას და დათვალიერების შემდეგ ბრუნდება სკოლის შენობაში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ სკოლის მანდატურებზე, რომელ სკოლაშიც გაკვეთილებს შორის შესვენებებს მოსწავლეები ატარებენ სკოლის ეზოში.
გ) ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან თანხმდება შესაბამის კოორდინატორთან კომუნიკაციის იმ ფორმით, რომელიც მიღებულია მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის;
5. იმ სკოლებში, სადაც განაწილებულია ორზე მეტი მანდატური და სათვალთვალო კამერების რაოდენობა იძლევა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის შესაძლებლობას (არანაკლებ სკოლის პერიმეტრის 70 %-ისა და მეტი), საგაკვეთილო პროცესის დაწყებისთანავე შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი სათვალთვალო კამერების მეშვეობით ხორციელდება უწყვეტად, მათ შორის გაკვეთილებს შორის შესვენების დროსაც. სკოლაში განაწილებული ის მანდატურები, რომლებიც არ ახდენენ პერიმეტრის დისტანციურ დათვალიერებას, ახდენენ სკოლის შიდა პერიმეტრის კონტროლს არადისტანციურად.

გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, თითოეული გაკვეთილის დასრულებამდე არაუგვიანეს 10 წუთით ადრე, სკოლის შიდა პერიმეტრზე მყოფი მანდატურებიდან ერთ-ერთი გადის, ათვალიერებს სკოლის გარე პერიმეტრს და ბრუნდება სკოლის შენობაში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ სკოლის მანდატურებზე, რომელ სკოლაშიც გაკვეთილებს შორის შესვენებებს მოსწავლეები ატარებენ სკოლის ეზოში. ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან თანხმდება შესაბამის კოორდინატორთან კომუნიკაციის იმ ფორმით, რომელიც მიღებულია მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის;

6. დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ეჭვის გაჩენის/დაფიქსირების შემთხვევაში, კამერებთან მყოფი მანდატური ვალდებულია ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს რაციის მეშვეობით, იმ მანდატურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მანდატურები შემთხვევის ადგილიდან არიან შორს და თვითონ უფრო მცირე ვადაში შეძლებს შემთხვევის ადგილზე მისვლას, თვითონ უზრუნველყოს შემთხვევის ადგილზე გასვლა. აღნიშნული შეტყობინების დროს, მეწყვილესათვის გადაცემული თითოეული შეტყობინების თაობაზე ჩანაწერი კეთდება შესაბამის ცხრილში.

7. მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას, გამოვლენილი დარღვევის/სავარაუდო დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ, რაციის მეშვეობით ატყობინებს მანდატურს, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრის დათვალიერებას ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით.

8. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ერთხელ, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, წინასწარ შესაბამის კოორდინატორთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ. იმ საჯარო სკოლებში, სადაც განაწილებულია ოთხზე მეტი მანდატური, მანდატური/მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს.

9. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ერთხელ, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, წინასწარ შესაბამის კოორდინატორთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ. იმ საჯარო სკოლებში, სადაც განაწილებულია სამზე მეტი მანდატური, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, წინასწარ შესაბამის კოორდინატორთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, არაუმეტეს 30 (ოცდაათი) წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს.

10. მერვე და ყოველი მომდევნო გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, შეისვენონ 30 (ოცდაათი) წუთით. მანდატური/მანდატურები უფლებამოსილნი არიან, კოორდინატორთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 30 წუთით შეისვენონ ისე, რომ შესვენებულ მანდატურთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სკოლაში განაწილებულ მანდატურთა საერთო რაოდენობის ორ მესამედს. მანდატურები უფლებამოსილნი არიან, აღნიშნული უფლებით ისარგებლონ დღის განმავლობაში ერთხელ.

11. მეხუთე და ყველა მომდევნო გაკვეთილის შემდეგ შესვენების დროს, მანდატურ(ებ)ი დგება/დგებიან გარეთ, სკოლის შესასვლელთან/შესასვლელებთან და აკონტროლებს/აკონტროლებენ მოსწავლეების გადინებას და შესვლას სკოლის შენობაში.

ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან თანხმდება შესაბამის კოორდინატორთან კომუნიკაციის იმ ფორმით, რომელიც მიღებულია მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის.

12. მანდატურს, ერთი გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, უფლება აქვს ერთ ადგილას შეჩერდეს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) წუთით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

13. საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც ყველა მოსწავლე დატოვებს სკოლის ტერიტორიას სკოლის ტერიტორიიდან გასვლამდე, მანდატური/მანდატურები ვალდებულნი არიან გადანაწილდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე და უზრუნველყონ არადისტანციური დათვალიერება. შემოწმების დროს დაუშვებელია მანდატურების გადაადგილება ჯგუფურად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

14. აღნიშნული წესისგან განსხვავებულად, შესაბამის კოორდინატორთან წინასწარი შეთანხმებით, შესაძლოა დარეგულირდეს იმ სკოლების არადისტანციური დათვალიერების წესი, რომელიც „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად ახორციელებენ განვითარების შეფერხების, სენსორული და ქცევისა და ემოციური დარღვევების მქონე, ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს.